

000000-00-0-000000000000



N \_\_\_\_\_

\_\_/\_\_/\_\_

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს,  
ბატონ მამუკა ახვლედიანს

### სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

ბატონო მამუკა,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი განიხილავს ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს, სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშალის ნიშნებით ცრუ ჩვენების მიცემისა და ცრუ დასმენის ფაქტზე. ამჟამად საქმეს წინასასამართლო სხდომის სტადიაზე განიხილავს მოსამართლე გერმანე დადეშქელიანი.

2015 წლის 19 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ბრალდებულის დედამ - ასმათ გოდერძიშვილმა წარმოადგინა სისხლის სამართლის N010070615801 საქმის მასალების ასლები.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დოკუმენტების სრულყოფილად შესწავლის შედეგად მიმაჩნია, რომ წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება სასამართლოს დაეხმარება განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში.

## სასამართლოს მეგობრის წარდგენის სამართლებრივი საფუძველი

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით:

„სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს.“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლის მიხედვით:

„საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით.“

ამავე კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით:

საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია შემოწმების შედეგების მიხედვით, ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

„დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.“

ზემოაღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით:

„წერილობითი მოსაზრების წარდგენის მიზანი უნდა იყოს არა პროცესის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერა, არამედ იგი უნდა დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი.“

## საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2015 წლის 08 ივნისს გიორგი ოქროპირიძეს წარედგინა ბრალდების შესახებ დადგენილება. ხსენებული დადგენილებიდან ირკვევა, რომ გიორგი ოქროპირიძემ ჩაიდინა დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა, რომელსაც ერთვის ბრალდება მძიმე დანაშაულში, ჩადენილი პირადი მოტივით.

ხსენებული დადგენილების მიხედვით, 2014 წლის 22 სექტემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის N9483 ბრძანების შესაბამისად, ქ.თბილისში მდებარე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმარი გიორგი ოქროპირიძე გადაყვანილ იქნა ქ.ბათუმში მდებარე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში.

ამავე დადგენილებიდან ირკვევა, რომ გიორგი ოქროპირიძისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ქ.ბათუმში განთავსებულ დაწესებულებაში გადაყვანა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში შესახლებისას, დაემუქრა დაწესებულების თანამშრომლებს, რომ თუ არ დააბრუნებდნენ ქ.თბილისში, მიიყენებდა თვითდაზიანებებს, რითიც საქართველოს სახალხო დამცველს დაარწმუნებდა, რომ იყო დაწესებულების მხრიდან წამების მსხვერპლი.

2015 წლის 08 ივნისის ბრალდების შესახებ დადგენილების შესაბამისად, 2014 წლის 22 სექტემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში შესახლების შემდგომ, გიორგი ოქროპირიძემ მიიყენა თვითდაზიანებები; ამის შემდეგ, მან საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას, პირადი მოტივით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N8 დაწესებულებაში დაბრუნების მიზნით, ამ უკანასკნელს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს მის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულების თანამშრომლის - მინდია მაღაყმაძის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საბადრაგო სამმართველოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულების სხვა თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მძიმე დანაშაულის ჩადენას - დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას. აღნიშნული ინფორმაცია გახდა სისხლის სამართლის N074250914801 საქმეზე გამოძიების დაწყების საფუძველი.

2015 წლის 08 ივნისის ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, 2014 წლის 02 ოქტომბერს სისხლის სამართლის N074250914801 საქმეზე მოწმის სახით დაკითხვისას, გიორგი ოქროპირიძემ ცრუდ დაასმინა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულების თანამშრომელი - მინდია მაღაყმაძე და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სხვა თანამშრომლები, რომ თითქოს მათი მხრიდან გიორგი ოქროპირიძის მიმართ ადგილი ჰქონდა მძიმე დანაშაულის ჩადენას - დამამცირებელ და არაადამიანურ მოპყრობას.

შესაბამისად, ხსენებული დადგენილების მიხედვით, გიორგი ოქროპირიძემ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება.

მოგვიანებით, 2015 წლის 22 ივლისს, იმავე ფაქტების საფუძველზე გ.ოქროპირიძეს დამატებით წარედგინა ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლით. კერძოდ, მას ბრალად ასევე წარედგინა მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემა.

ამრიგად, მას ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 26 ივნისის სისხლის სამართლის N074250914801 საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ დადგენილებით, 2015 წლის 06 ივნისის სისხლის სამართლის N074250914801 საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების გაუქმებისა და გამოძიების განახლების შესახებ დადგენილებით, 2015 წლის 07 ივნისის სისხლის სამართლის N074250914801 საქმეზე (2014 წლის 22 სექტემბერს გიორგი ოქროპირიძის მიმართ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტი - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>3</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება) გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილებითა და საქმეში არსებული სხვა დოკუმენტებით ცალსახად დასტურდება, რომ სისხლის სამართლის N074250914801 საქმეზე გამოძიება დაიწყო 2014 წლის 25 სექტემბერს საქართველოს მთავარი პროკურატურის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოში და გამოძიების დაწყებას საფუძველად დაედო საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის 23 სექტემბრის N03-4/11967 წინადადება<sup>1</sup>.

<sup>1</sup>2014 წლის 23 სექტემბრის საქართველოს სახალხო დამცველის წინადადების თანახმად, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეულმა თანამშრომლებმა ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძეს მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

# განსახილველი საკითხის სამართლებრივი ანალიზი

## 1. არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კონსტიტუციური კონტექსტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი უზრუნველყოფს წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და სასჯელის გამოყენებისგან პირის დაცვის გარანტიებს. კერძოდ, ქვეყნის ძირითადი კანონის ხსენებული მუხლის მიხედვით:

„1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.

2. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება.

3. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.“

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით განმტკიცებული გარანტიები აბსოლუტური ხასიათისაა და განსხვავებით კონსტიტუციის სხვა ნორმებისაგან, რომლებიც უშვებენ უფლების შეზღუდვის კანონიერ შესაძლებლობას, მოცემული მუხლი გამორიცხავს ყოველგვარ გამონაკლისს ამ მხრივ.

ხსენებული მუხლის იმპერატიული ბუნება სახელმწიფოს მხრიდან ადგენს არა მხოლოდ უფლების დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულებას (ნეგატიური ვალდებულება), არამედ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ მან კონსტიტუციის დასახელებული ნორმის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, განახორციელოს ყოველმხრივი და ეფექტიანი გამოკვლევა დარღვევის ფაქტის დადგენისა და პასუხისმგებელ პირთა დასჯის მიზნით.

ამრიგად, სახელმწიფო თავისი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებული პირების მიერ საჩივრის დაწერისა და განხილვის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებისაკენ. რა თქმა უნდა, საგამომიებო ორგანოს საქმიანობისთვის განზრახ ხელის შეშლა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან/და უდანაშაულო პირის განზრახ ცრუდ დასმენა, უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, სასჯელადსრულების ან თავისუფლების შეზღუდვის სხვა დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიმართ უნდა მოქმედებდეს დამცავი გარანტიების განსაკუთრებული მიდგომა. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისუფლებააღკვეთილი პირები, საჩივრის წარდგენის გამო, შესაძლო რეპრესიებისგან და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოების გარანტიები.

სახელმწიფოს მომეტებული ვალდებულება თავისუფლებაშეზღუდული პირების მიმართ გამომდინარეობს ამ კატეგორიის პირთა მაღალი რისკის შემცველი მდგომარეობიდან. კერძოდ, რამდენადაც სახელმწიფოს მიერ პირის თავისუფლება ლეგიტიმურად შეიზღუდა, თავისუფლების შეზღუდვის ფარგლებში ამ პირთა ფიზიკური დაცვა თავად სახელმწიფომ იკისრა. ამ პირობებში, სახელმწიფო პირს ანიჭებს პრივილეგიურ მდგომარეობას, რათა მისი უფლებაშეზღუდული მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ინდივიდს მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს, არ დაბრკოლდეს მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვა. დამატებითი დამცავი გარანტიების მინიჭება ამ კატეგორიის პირთათვის არის ერთგვარი დაბალანსება მასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის და მეორე მხრივ, გათანაბრების მცდელობა თავისუფლებაში მყოფი ინდივიდის სამართლებრივ მდგომარეობასთან.

ზემოაღნიშნული საერთაშორისოდ შეთანხმებული იდეის ლოგიკური გაგრძელებაა ის, რომ არასათანადო მოპყრობის პრევენციისა თუ შემდგომში გამოვლენის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის გამართულ ფუნქციონირებას. საქართველოს სახალხო დამცველისთვის და მისი რწმუნებულებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამო, პატიმრის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება და პასუხისმგებლობის დაკისრება კონცეპტუალურ საშიშროებას წარმოქმნის სრულიად ინსტიტუტის მიმართ და ამით კონსტიტუციით გარანტირებული საზოგადოებრივი ნება, რომ სახელმწიფომ იზრუნოს თავისუფლებაზე აღუდგურდეს პირებზე, ვერ აღსრულდება. უფრო კონკრეტულად, მოცემული ფაქტი გამოიწვევს არასწორ და არსებითი საფრთხის შემცველ პრაქტიკას, წარმოქმნის არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენისა და აღკვეთის რეალურ საფრთხეს. აღნიშნული კი არა მხოლოდ საქართველოს სახალხო დამცველისა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სრულ დისკრედიტაციას მოახდენს, არამედ თითქმის გამორიცხავს არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით სახელმწიფოს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ეფექტიანობას.

## 2. წამების აკრძალვა და პრევენცია, საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიების და სანქციების დაკისრების დაუშვებლობა საერთაშორისო სამართალში

### 2.1. წამების აბსოლუტური აკრძალვა, როგორც საერთაშორისო სამართლის იმპერატიული (Jus Cogens) ნორმა

წამების აბსოლუტური აკრძალვა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით აღიარებული ჩვეულებითი სამართლის იმპერატიულ (Jus Cogens) ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად:

- „1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო იღებს ეფექტიან საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სასამართლო და სხვა ღონისძიებებს მის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე წამების აქტების თავიდან ასაცილებლად.
2. არავითარი განსაკუთრებული გარემოებებით, როგორც უნდა იყოს იგი, იქნება ეს საომარი მდგომარეობა თუ ომის საფრთხე, შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სხვა საგანგებო მდგომარეობა, არ შეიძლება იყოს წამების გამართლება.“

ანალოგიურად, კონვენციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით ადგენს შემდეგ ვალდებულებას:

„ყოველი მონაწილე სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას თავის იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე თავიდან აიცილოს სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის სხვა აქტები, რომლებსაც არ მოიცავს I მუხლში აღნიშნული წამების განსაზღვრება.“

წამების აბსოლუტური აკრძალვის ვალდებულება ასევე გამყარებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით, რომელიც ადგენს, რომ არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.

### 2.2. წამების პრევენცია და პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მნიშვნელობა

აღსანიშნავია, რომ გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტი წამების პრევენციას ცალკე, დამოუკიდებელ ვალდებულებად განიხილავს. კერძოდ, ქვეკომიტეტი განმარტავს, რომ

„მართალია, წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის ვალდებულება განამტკიცებს წამების აკრძალვას, ის ცალკე, დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოადგენს და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ყველა შესაძლო, შესაბამისი პრევენციული ზომის მიუღებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ წამებას ადგილი ექნებოდა ისეთ გარემოებებში, რომელიც სხვაგვარად გამორიცხავდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას.“

წამების პრევენციის ქვეკომიტეტი დამატებით განმარტავს, რომ „წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენცია მოიცავს ყველა შესაძლო ზომას, რომელსაც შეუძლია შეამციროს წამებისა და არასათანადო მოპყრობის ალბათობა ან რისკი.“<sup>2</sup>

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი (შემდგომში „წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი“) იზიარებს რა წამების კონვენციით გარანტირებულ წამების სრულად აღმოფხვრის აუცილებლობას, ავალდებულებს ფაკულტატიური ოქმის მონაწილე თითოეულ სახელმწიფოს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-2 და მე-16 მუხლების შესაბამისად, მიიღონ ეფექტური ზომები წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით, თავიანთი იურისდიქციის ქვეშ არსებულ ტერიტორიაზე. წამების წინააღმდეგ ოქმის პრეამბულაში ხაზგასმულია, რომ ოქმის მხარეები, „ითვალისწინებენ [რა] ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო კონფერენციის მიერ გაკეთებულ განაცხადს იმასთან დაკავშირებით, რომ წამების სრულად აღმოფხვრის მიზნით გატარებული ღონისძიებები პირველ რიგში კონცენტრირებულ უნდა იქნეს მის პრევენციაზე, და ასევე კონფერენციის მოწოდებას კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს პრევენციული სისტემის შექმნას დაკავების ადგილებში რეგულარული ვიზიტების განხორციელების მიზნით.“

პრაქტიკულად, წამების წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი ადგენს წამების პრევენციის თვისებრივად დამოუკიდებელ ვალდებულებას, რომელიც ასევე მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ფუნქციურად დამოუკიდებელი პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტიანი საქმიანობა. წამებისა წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-17 მუხლის თანახმად,

„წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან, ან მისი რატიფიკაციიდან ან მასთან მიერთებიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, თითოეული მხარე დანიშნავს ან შექმნის პრევენციის ერთ ან რამდენიმე დამოუკიდებელ ეროვნულ მექანიზმს ადგილობრივ დონეზე წამების თავიდან აცილების მიზნით.“

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს ასრულებს საქართველოს სახალხო დამცველი.“

ამავე კანონის მე-19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის თანახმად,

<sup>2</sup> „წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიდგომა წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციასთან მიმართებით წამებისა და სხვა სასტიკი არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად“, CAT/OP/12/6, ჟენევა, 2010 წელი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT/OP/12/6&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT/OP/12/6&Lang=en) [ბოლოს ნანახია 17.07.2010]

„პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით საქართველოს სახალხო დამცველთან იქმნება სპეციალური პრევენციული ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ამოწმებს დაკავებულ, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირთა და მსჯავრდებულთა, აგრეთვე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, მოხუცთა თავშესაფრებსა და ბავშვთა სახლებში მოთავსებულ პირთა მდგომარეობას და მათდამი მოპყრობას წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ან სასჯელისაგან დაცვის მიზნით.“

წამების წინააღმდეგ ფაკულტატური ოქმის მე-20 მუხლით მინიჭებულ სხვადასხვა უფლებამოსილებებთან ერთად, უმნიშვნელოვანესია პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების უფლება მოწმეების გარეშე, პირადად ან თარჯიმნის დახმარებით, ჰქონდეთ თავისუფლებააღკვეთილ და სხვა ნებისმიერ პირებთან, კერძო საუბრის გამართვის შესაძლებლობა და პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. წამების წინააღმდეგ ფაკულტატური ოქმის 21-ე მუხლი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ:

„არც ერთი ორგანო ან თანამდებობის პირი არ გამოიყენებს რაიმე სანქციას ან არ გასცემს სანქციის გამოყენების ბრძანებას ან ნებართვას რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიმართ, მათ მიერ პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის ნამდვილი თუ ყალბი ინფორმაციის მიწოდების გამო, ასევე არ შეზღუდავს ასეთ პირს ან ორგანიზაციას რაიმე სხვა წესით“.

მოცემული ნორმა წარმოადგენს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირების უმნიშვნელოვანეს გარანტიას და წამების აკრძალვისა და პრევენციისათვის აუცილებელ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დებულებას. აღნიშნული დებულების წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი მნიშვნელოვან დარტყმას აყენებს სახელმწიფოს ვალდებულებებს წამების წინააღმდეგ კონვენციითა და ამ კონვენციის ფაკულტატიური ოქმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

### 2.3. საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიებისა და სანქციების დაუშვებლობა

წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-13<sup>3</sup> და მე-14<sup>4</sup> მუხლებით ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლება, მომჩივნისა და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისგან დაცვა და აგრეთვე, წამების მსხვერპლთათვის სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის უზრუნველყოფა.<sup>5</sup> რაც უფრო ძლიერი და ეფექტურია მსხვერპლთა და მოწმეთა დაცვის გარანტიები, მით უფრო ეფექტიანია წამების აბსოლუტური აკრძალვის პრაქტიკაში იმპლემენტაცია.

<sup>3</sup> „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მოწმის ჩვენებების გამო მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად“

<sup>4</sup> „1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, რომ წამების მსხვერპლი იღებდეს ანაზღაურებას და მას ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით განმტკიცებული სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის, მათ შორის რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის უფლება ეძლევათ მის კმაყოფაზე მყოფთ.

2. ამ მუხლში არაფერი არ ეხება მსხვერპლის ან სხვა პირის კომპენსაციის ნებისმიერ უფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობით.“

<sup>5</sup> „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, რეზოლუცია მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს, A/RES/39/46

ყველა მოთხოვნა ან საჩივარი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული და პასუხგაცემული დაგვიანების გარეშე. თუ მოთხოვნა ან საჩივარი არ დაკმაყოფილდა ან უარყოფილ იქნა დაგვიანების გამო, მომჩივანს უნდა მიეცეს უფლება წარადგინოს საჩივარი სასამართლოში ან სხვა ორგანოში. დაკავებულს, დაპატიმრებულს ან სხვა რომელიმე მომჩივანს წინამდებარე პრინციპების პირველი პუნქტის თანახმად, არ უნდა მიადგეს რაიმე ზიანი განხორციელებული მოთხოვნის ან საჩივრის გამო.<sup>6</sup>

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, აუცილებელია წარმოდგენილ იქნეს საფუძველი. აგრეთვე, პატიმარს უნდა ჰქონდეს უფლება მიმართოს სხვა დამოუკიდებელ ორგანოს.<sup>7</sup> არ უნდა მოხდეს პატიმართა დასჯა იმის გამო, რომ მათ საჩივარი შეიტანეს.

8

საჩივრების წარდგენის და განხილვის ეფექტური პროცედურა წამების პრევენციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ხერხემალს წარმოადგენს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშებში მუდმივად უსვამს ხაზს ასეთი პროცედურის მნიშვნელობას და საჩივრის წარდგენის უფლებით სარგებლობისათვის რეპრესიებისა და სანქციების დაუშვებლობას. კერძოდ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ

„საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას და ამავედროულად, ის ზოგადად ხელს უწყობს ციხის სათანადო მართვას.“<sup>9</sup>

კომიტეტი დამატებით აღნიშნავს, რომ

„კუნძულ მენზე კვლავაც მოქმედებს ციხის თანამშრომლის მიმართ ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის დისციპლინური სანქცია. კომიტეტი შეშფოთებულია იმ ფაქტის გამო, რომ ასეთი სანქციის არსებობამ, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შეიძლება საჩივრის წარდგენაზე ხელი ააღებინოს იმ პატიმრებს, რომლებსაც ნამდვილად გააჩნიათ საჩივრის წარდგენის საფუძველი.“<sup>10</sup>

საყურადღებოა, რომ დისციპლინური რეაგირებაც კი, რომელიც სამართლებრივად ნაკლებად მკაცრი რეაქციაა სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის მიმართ, მაგნე, დამაბრკოლებელ მიდგომად არის მიჩნეული. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ცალსახად მიუღებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ზემოთ მითითებული შეშფოთება გაზიარებულ იქნა სახელმწიფოს მიერ. ანგარიშის საპასუხოდ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისათვის გაგზავნილ კომუნიკაციაში აღნიშნულია, რომ ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის დაწესებული სანქცია არასოდეს ყოფილა გამოყენებული და რომ ეს სანქცია გაუქმდებოდა წლის განმავლობაში, ციხის წესების გადასინჯვის დროს.<sup>11</sup>

<sup>6</sup> გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა, პრინციპი 33

<sup>7</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 70.3

<sup>8</sup> იქვე

<sup>9</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 1997 წლის 8-17 სექტემბერს გაერთიანებულ სამეფოში და კუნძულ მენზე განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2000), პარ. 151, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/gbr/2000-01-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

<sup>10</sup> იქვე, პარ.

<sup>11</sup> გაერთიანებული სამეფოს პასუხი 1997 წლის 8-17 სექტემბერს წამების პრევენციის ევროპულ კომიტეტის მიერ გაერთიანებულ სამეფოში და კუნძულ მენზე განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით,



გარდა იმისა, რომ საჩივრის წარდგენის გამო რეპრესიების და სანქციების დაწესების თავიდან აცილება აუცილებელია, საჩივრის წარდგენისა და განხილვის ეფექტური მექანიზმის ჩამოყალიბებისათვის ეს საკმარისი არ არის. წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა ირლანდიასთან მიმართებით აღინიშნა, რომ უმრავლეს პატიმარს არ აქვს ნდობა საჩივრების სისტემის მიმართ და არ სურთ საჩივრით მიმართვა მაშინაც, როდესაც საუბარია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.<sup>12</sup> მნიშვნელოვანია, რომ პატიმრებს სწამდეთ საჩივრების სისტემის ეფექტურობის, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს აარიდებენ საჩივრის შეტანას, რაც დააზარალებს საჩივრების სისტემის მიზანს.<sup>13</sup>

ამრიგად, სახელმწიფოს ძალისხმევა, თავისი პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, მიზანმიმართული უნდა იყოს არასათანადო მოპყრობას დაქვემდებარებული პირების მიერ საჩივრის წარდგენის და განხილვის ეფექტიანი სისტემის ფუნქციონირებისაკენ. რა თქმა უნდა, საგამომიებო ორგანოს საქმიანობისთვის განზრახ ხელის შეშლა, არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან/და უდანაშაულო პირის განზრახ ცრუდ დასმენა, უნდა იწვევდეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა სასჯელადსრულების ან თავისუფლების შეზღუდვის სხვა დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიმართ უნდა მოქმედებდეს დამცავი გარანტიების განსაკუთრებული მიდგომა. სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი ან შეზღუდული პირები, საჩივრის წარდგენის გამო, შესაძლო რეპრესიებისგან და უზრუნველყოს მათი უსაფრთხოების გარანტიები.

ცრუ დასმენისაგან პირის დაცვა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, მაგრამ ეს მიზანი შეიძლება სხვა საშუალებებითაც იქნას მიღწეული. საყურადღებოა, რომ წამებისა და არასათანადო მოპყრობის ცრუ ბრალდებებისაგან დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სათვალთვალ კამერების ჩანაწერები წარმოადგენს, სადაც ასეთი კამერები დამონტაჟებულია კანონის შესაბამისად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის გარეშე. ასეთი ჩანაწერები წარმოადგენს არსებითი მნიშვნელობის, გადამწყვეტ მტკიცებულებას.<sup>14</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის განმარტებით, წამების შესახებ საჩივრის განხილვისას მოპოვებულ უნდა იქნას ყველა საჭირო მტკიცებულება და მხოლოდ სხეულის დაზიანების არარსებობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას წამების ფაქტის გამომრიცხავ გარემოებად. წამების პრევენციის ქვეკომიტეტი თავის პოზიციას შემდეგნაირად აყალიბებს:

„დელეგაციამ აღმოაჩინა, რომ სტამბოლის პროტოკოლის გამოყენება არ ხდება მისი ნამდვილი მიზნის შესაბამისად, როგორც წამების ფაქტის დადასტურების ინსტრუმენტი, არამედ მას იყენებენ იმ პირების მიმართ, რომლებიც წარმოადგენდნენ საჩივრებს წამების შესახებ. შესაბამისად, ეს პირები ხშირად დგებიან ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენის ბრალდების წინაშე, თუ სამედიცინო და ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგები არ მიუთითებენ წამების მეთოდების გამოყენების ფაქტზე. ეს იწვევს ქვეკომიტეტის განსაკუთრებულ შემფოთებას იმ მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელშიც საჩივრის წარმდგენი პირები აღმოჩნდებიან ხოლმე, როდესაც ეს მდგომარეობა

---

პარ. 134, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/gbr/2000-07-inf-eng.pdf> [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

<sup>12</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2006 წლის 2-13 ოქტომბერს ირლანდიაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2007) 40, პარ. 37, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/irl/2007-40-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი მე-12 საერთო ანგარიშში (CPT/Inf (2002) 15) უთითებს, რომ ვიდეო და აუდიო ჩაწერის სისტემა იძლევა სრულ და ავთენტურ ჩანაწერებს, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არასათანადო მოპყრობის გამოძიებას. ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-12.htm> [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

დამძიმებულია საჩივრის წარდგენისთვის რეპრესიების შიშის განცდით. ამდენად, წამების ფაქტის მტკიცება არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ხსენებული გამოკვლევების შედეგებს. უფრო მეტიც, მრავალ მსხვერპლს არ აღენიშნება ხოლმე ფიზიკური დაზიანების ხილული ნიშნები იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ მიმართ იყენებენ ფიზიკურ წამებას [...] წამების ან სხვა არასათანადო მოპყრობის შესახებ საჩივრები არ უნდა იქნას შებრუნებული მომჩივანთა საუარესოდ და არ უნდა მოხდეს სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნების გამოყენება ცრუ, ყალბი ბრალდების საფუძვლით მომჩივანთათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის.<sup>15</sup>

ამავე ანგარიშში წამების პრევენციის ქვეკომიტეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საჩივრების მცირე რაოდენობა არსებული კონტექსტის გათვალისწინებით არ იძლევა სანდო სურათს მექსიკაში წამებასთან ბრძოლის მდგომარეობის შესახებ. ქვეკომიტეტის აზრით, საჩივრების რაოდენობაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს საჩივრების სისტემის მიმართ ნდობის ნაკლებობა და ცრუ, ყალბი საჩივრის წარდგენისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობა, რაც ქვეკომიტეტისათვის სრულიად მიუღებელია.<sup>16</sup>

## დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებისთვის მიწოდებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის გამო, პატიმრის პასუხისგებაში მიცემა იქნება სახელმწიფოს ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების დარღვევა. მოცემული შემთხვევა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალური საფხრთის გამო, ყველა სხვა თავისუფლებააღკვეთილი პირის მიერ საჩივრის წარდგენისგან თავის შეკავების რალურ საფრთხეს შექმნის. ეს კი თავის მხრივ, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შემაფერხებელ უპირობო გარემოებად იქცევა.

ამრიგად, ვხელმძღვანელობ რა „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით, ვინაიდან ბრალდებულ გიორგი ოქროპირიძის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის N010070615801 საქმე შეიცავს მნიშვნელოვან საკითხს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოგმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

<sup>15</sup> ანგარიში წამების პრევენციის ქვეკომიტეტის მიერ 2008 წლის 27 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე მექსიკაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ, პარ. 87, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: [http://tbinternet.ohchr.org/\\_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2fOP%2fMEX%2f1&Lang=en](http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CAT%2fOP%2fMEX%2f1&Lang=en) [ბოლოს ნანახია 17.07.2015]

<sup>16</sup> იქვე, პარ. 88

